

სკოპინგის დასკვნა N37

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: მდ. ყვირილაზე 81 000 მ³ მოცულობის წყალსაცავის („ბოსლევით 1 ჰესის“) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „იმერ-ენერჯი კაპიტალი“ (ს/კ:402248331);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 01.05.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „იმერ-ენერჯი კაპიტალის“ მიერ, წარმოდგენილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მდ. ყვირილაზე 81 000 მ³ მოცულობის წყალსაცავის („ბოსლევით 1 ჰესის“) მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. დილიკაურსა და სოფ. ბოსლევის ტერიტორიებზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, დერივაციული ტიპის 1.83 მგვტ დადგმული სამძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ბოსლევით 1 ჰესის“) პროექტის ფარგლებში, 81 000 მ³ მოცულობის წყალსაცავის მშენებლობა-ექსპლუატაციას.

საპროექტო ინფრასტრუქტურა განთავსდება მდ. ყვირილას ხეობაში, ზღვის დონიდან 236 და 225.7მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. პროექტის ფარგლებში მოსაწყობი ინფრასტრუქტურულიდან (სათავე კვანძი) უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 137 მეტრის დაშორებით.

საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის მიერ, მდინარიდან ასაღები წყლის მაქსიმალური საანგარიშო ხარჯი შეადგენს 12,5 მ³/წმ-ს, ეკოლოგიური ხარჯი - 2,71 მ³/წმ (საპროექტო კვეთში მდ. ყვირილას საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%). ჰესი წლიურად გამოიმუშავებს 12,64 გვტ/სთ ელექტროენერჯიას. საპროექტო ჰესის ძირითადი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: ძალური კვანძი, სადაწნეო-სადერივაციო სისტემა და სათავე ნაგებობა (რომელიც მოიცავს: დაბალზღურბლიან დამბას, წყალმიმღებს, სალექარს და თევზსავალს) 81 000მ³ მოცულობის წყალსაცავით.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, ჰიდროტექნიკური ნაგებობების ტიპის, სადერივაციო სისტემისა და

ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილმდებარეობების ალტერნატივები. წარმოდგენილი ინფორმაციით, ალტერნატივების შერჩევა მოხდა ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური საკითხების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მდ. ყვირილაზე დაგეგმილი სათავე ნაგებობის GPS კოორდინატებია: X-347357; Y-4670251. სათავე ნაგებობის შემადგენლობაში შევა: ფარებიანი კაშხალი (სიგრძე - 45 მ; სიმაღლე - 6,5 მ). გვერდითი წყალმიმღები, რომელიც აღებულ წყალს მიაწვდის სადაწნეო აუზს და სადაწნეო მილსადენს. მასზე დაგეგმილია ელექტროიმპულსური ტიპის თევზამრიდი მოწყობილობის დამონტაჟება. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, კაშხლის ზედა ბიეფში შექმნილი წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი იქნება 0.06კმ² (6 ჰა), სიგრძე 0.9 კმ, მოცულობა 81 000 მ³.

წყალმიმღებიდან სადაწნეო აუზამდე წყლის ტრანსპორტირება განხორციელდება დახურული, 225მ სიგრძის რკინა-ბეტონის უდაწნეო გალერით. სადაწნეო აუზის ავანკამერიდან სათავეს აიღებს ლითონის სადაწნეო მილსადენი, რომელიც მიუყვება მდ. ყვირილას მარჯვენა სანაპიროს. მილსადენის სიგრძე იქნება 950მ, დიამეტრი - 3.3მ და განთავსდება 4 მ სიღრმის ტრანშეაში. სადერივაციო სისტემა გადაკვეთს ორ მცირე ზომის მეწყერულ სხეულს, რკინა-ბეტონის მილხიდების საშუალებით. მილსადენი ჰესის შენობის სიახლოვეს დაიყოფა ორ სატურბინო მილებად, საიდანაც წყალი მიეწოდება ტურბინებს. ძალური კვანძი განთავსდება მდინარის მარჯვენა სანაპიროს ალუვიურ ჭალაში (GPS კოორდინატები: X-347196; Y-4669569). ძალური კვანძის შემადგენლობაში იქნება ჰესის სააგრეგატო შენობა და წყალგამყვანი არხი. ჰესის შენობაში, გათვალისწინებულია ორი ერთეული "კაპლანის" ტიპის ვერტიკალურღერძიანი ტურბინის დამონტაჟება, რომელთა ჯამური სიმძლავრე იქნება 1.83 მგვტ. ჰიდროაგრეგატების მიერ გამოყენებული წყალი 150 მ სიგრძის რკინა-ბეტონის გამყვანი არხის საშუალებით ჩაშვებული იქნება მდ. ყვირილას კალაპოტში 225.7 მ ნიშნულზე.

ჰესის და გამყვანი არხის მიმდებარე ტერიტორიების უსაფრთხოებისთვის გათვალისწინებულია 140 მ სიგრძისა და 5 მ სიმაღლის მქონე ნაპირდამცავი რკინა-ბეტონის კედლის მოწყობა ჰესის ქვედა ბიეფში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ჰესის შენობის სიახლოვეს (ჩრდილო-აღმოსავლეთით) გათვალისწინებულია 6 კვ სიმძლავრის ღია ქვესადგურის მოწყობა. ქვესადგურის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება ერთი ძალოვანი ტრანსფორმატორი, რომელიც მოეწყობა ბეტონის საძირკველზე. ჰესის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის ელექტროსისტემის ქსელში ჩართვა გათვალისწინებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილ 35/6კვ ქვესადგურ ბოსლევში, 4,5 კმ სიგრძის 6 კვ ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ეგზ-ის გაყვანა მოხდება დამოუკიდებელი პროექტის სახით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობაა 24 თვე, სამუშაო დღეთა რაოდენობა - 300 დღე/წელ. მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილია დაახლოებით 58, ხოლო ექსპლუატაციის პერიოდში - 3 ადამიანის დასაქმება. სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილია, მდ. ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართობია 2837 მ². სამშენებლო ბანაკის დაახლოებითი GPS კოორდინატებია: X - 347126; Y - 4669733, მდინარიდან დაშორებული იქნება არანაკლებ 30 მეტრით, ძალური კვანძიდან დაახლოებით 170 მ-ით. სამშენებლო ბანაკზე გათვალისწინებულია ოფისის, ლაბორატორიის, არმატურის საამქროს, სასაწყობე მოდულების, ტრანსპორტის სადგომის, დიზელ-გენერატორის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის („BIOTAL 1“-ის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესის მშენებლობის ფაზაზე სამშენებლო მასალების და აღჭურვილობის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის და მდ. ყვირილას ხეობაში ჩამავალი ადგილობრივი საავტომობილო გზები. საპროექტო არეალთან მისასვლელი არსებული გრუნტის გზაზე ცალკეულ მონაკვეთებზე გათვალისწინებულია სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, ასევე დერივაციის გასწვრივ 100 მ სიგრძისა და 4 მ სიგანის საექსპლუატაციო გზის მოწყობა ხრემის საფარით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების პროცესში მოსალოდნელია 135 000 მ³ მოცულობის გრუნტის წარმოქმნა, საიდანაც დაახლოებით 60 000 მ³ გამოყენებული იქნება უკუყრილებისათვის, ხოლო 75 000 მ³ მოცულობის ფუჭი გრუნტი დაექვემდებარება მუდმივ განთავსებას სანაყაროებზე. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი სანაყაროს მოწყობა სოფ. დილიკაურში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 32.08.31.125; 32.08.31.136), რომლებიც უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაცილებულია დაახლოებით 440 მ-ით. მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 57 352 მ². სანაყაროებზე ფუჭი ქანების განთავსებამდე მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და კავალიერების სახით დასაწყობება.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში წყლის გამოყენებისა და ჩამდინარე წყლების შესახებ. მშენებლობის ეტაპზე წყლის გამოყენება საჭირო იქნება სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის, ასევე მშრალ ამინდებში სამშენებლო მოედნებისა და მისასვლელი გზების დასანამად. როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული იქნება ადგილზე მიტანილი წყალი. მშენებლობის ფაზაზე ადგილი იქნება სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების წარმოქმნას, რომლის გაწმენდის მიზნით, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის „BIOTAL 1“ მოწყობა. გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება მდ. ყვირილაში.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სამშენებლო ბანაკსა და სამშენებლო მოედნების ტერიტორიაზე დაგეგმილი არ არის ხმაურის და ემისიების გავრცელების სტაციონარული წყაროების განთავსება. ჰესის მშენებლობის პროცესში, მიწის სამუშაოების წარმოება, სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ინტენსიური გამოყენება გავლენას მოახდენს ხმაურის ფონურ დონეებზე და ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მტვრის და წვის პროდუქტების გავრცელებას. წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული ზემოქმედებების შეფასება მოხდება გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მორფოლოგიური პირობების მიხედვით, გამოკვლეული მონაკვეთი რთული პირობებით ხასიათდება. გეოდინამიკური პროცესები და ღვარცოფული ხევეები ფიქსირდება შეტბორვის არეალში. სადერივაციო სისტემის საპროექტო დერეფანთან დაფიქსირებულია სხვადასხვა სიმძლავრის აქტიური მეწყრული სხეულები. მშენებლობის პროცესში დაგეგმილია მეწყრული სხეულის კონტურში დარჩენილი მეწყრული მასების ჩამოწმენდა და მეწყრული სხეულის ზედაპირის დატერასება დაბალამპლიტუდიანი საფეხურებით. დერივაციის ბუფერში მდებარეობს სხვადასხვა სიმძლავრის წყლიანი ხევეები. კლდეზვავური პროცესები ფიქსირდება გზის ჭრილში გამიშვლებულ ძირითად ქანებში, რომლებიც ინტენსიურად დანაპრალებული და გამოფიტულია. მშენებლობის პროცესში, დერივაციისა და საექსპლუატაციო გზის გასწვრივ არსებული ფერდობებიდან საჭირო იქნება არამდგრადი უბნების განტვირთვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ფერდობების გამაგრება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით პროექტის ზემოქმედების არეალში ან მის სიახლოვეს ძუძუმწოვრებიდან შესაძლოა ბინადრობდნენ: სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*), ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), წავი (*Lutra lutra*); ფრინველები: ორბი (*Gyps fulvus*), მთის არწივი (*Aquila chrysaetus*), მყივანი არწივი (*Aquila clanga*), ქორცქვიტა (*Accipiter brevipes*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*); ქვეწარმავლები: კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*). საველე კვლევის და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით პროექტის გავლენის ზონაში საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ქვეწარმავლების სახეობებიდან გავრცელებულია მხოლოდ კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*). იქთიოლოგიური კვლევის შედეგის მიხედვით, მდ. ყვირილაში დაფიქსირდა: ჩვეულებრივი ქაშაპი (*Leuciscus leuciscus* Linnaeus), სამხრეთული მარდულა, ფრიტა (*Alburnoides fasciatus* Nordmann).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში იქთიოფაუნაზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, ჰესის სათავე ნაგებობაზე დაგეგმილია ე.წ. საფეხურებიანი თევზსავალის და თევზამრიდის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშში კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ამჟამად „ბოსლევით 1 ჰესი“-ს ნაგებობების განთავსების არეალში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, რაიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტის სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს. გზმ-ის ანგარიშში დეტალურად იქნება შეფასებული კუმულაციური ზემოქმედება.

სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიების მცირე მონაკვეთის გადაკვეთა ხდება შეტბორვის, კაშხლის, ჰესისა და მდინარის მარჯვენა ნაპირზე სადაწნეო-სადერივაციო სისტემის მონაკვეთზე. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მონაცემებით, საპროექტო ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის, მთლიანი ფართობიდან (141 698 კვ.მ. პოლიგონური shp-ფაილები) 3 323 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვება, რისთვისაც საპროექტო დერეფანში ჩატარდება ხე-მცენარეული საფარის კვლევა. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო არეალში და მომიჯნავედ აღირიცხა საქართველოს მოქმედი წითელი ნუსხით დაცული 3 სახეობა - ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa*), კაკალი (*Juglans regia*) და თელა (*Ulmus minor*).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში, ასევე ლიტერატურული წყაროებისა და სხვადასხვა სამუშაოების შედეგების მიხედვით პროექტის გავლენის ზონაში ისტორიულ-კულტურული ან არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ დადასტურებულა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვითი საინფორმაციო პორტალზე, ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია ასევე, განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვები გაიმართა 2024 წლის 5 ივნისს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. დილიკაურისა და სოფ. ბოსლევის ადმინისტრაციული ერთეულების შენობებში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „იმერ-ენერჯი კაპიტალის“, შპს „გამა კონსალტინგის“, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები

და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე ყურადღება გამახვილდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ პროცედურებზე, სოციალურ-ეკონომიკურ და გარემოსდაცვით საკითხებზე, რაზეც შესაბამისი განმარტებები გააკეთეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „იმერ-ენერჯი კაპიტალისა“ და შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვების ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
1. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების, სანაყაროების, სამშენებლო ბანაკების განთავსების, მისასვლელი გზების მოწყობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. **გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ალტერნატივების გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;**
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება. მათ შორის: საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ადგილების დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, ჰიდროელექტროსადგურის ყველა შემადგენელი ობიექტის Shp ფაილები;
- საპროექტო ინფრასტრუქტურიდან და შეტბორვის კონტურიდან დაზუსტებული მანძილები უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე გენ-გეგმაზე და რუკაზე ასახვით და კონკრეტული მანძილების მითითებით;
- ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურის განთავსების (ზღვის დონიდან) ნიშნულების შესახებ (მათ შორის სათავე და ძალური კვანძის საძირკვლებისა და თხემების ნიშნულები);
- პროექტის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტი და საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურების დაშორება მოსახლეობიდან, კონკრეტული მანძილების მითითებით;
- წყალსაცავისა და ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ჰიდროელექტროსადგურის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების ცხრილი/პროექტის განმარტებითი ბარათი, ჰიდროტექნიკური ნაგებობების აღწერით და სქემატური ნახაზებით, ჰიდროელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- სათავე კვანძის სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სამშენებლო ეტაპების, მშენებლობის მეთოდის, დროისა და მოსალოდნელი

ზემოქმედების მითითებით, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სათავე კვანძის მშენებლობის ეტაპზე, მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის არილების სამუშაოების, მათ შორის აღნიშნული მიზნით მოსაწყობი ინფრასტრუქტურის (დროებითი სადერივაციო არხი, დროებითი დამბა და სხვ) შესახებ;

- ინფორმაცია სათავე კვანძის საანგარიშო დატვირთვის შესახებ, მათ შორის სეისმური და ჰიდრავლიკური დატვირთვის პარამეტრების მითითებით;
- სათავე კვანძზე კატასტროფულ სიტუაციებში მომატებული წყლის მართვის საკითხები;
- ინფორმაცია სათავე კვანძზე შეკავებული წყლის მოცულობის და შეტორილი ადგილების ფართობის შესახებ ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის ნიშნულებისა და ფართობების მითითებით. ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის უბნის კონტურები ასახული უნდა იქნეს shp ფაილებში;
- გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს თევზსავალი და თევზამრიდი ნაგებობების დეტალურ აღწერას, სამშენებლო ნახაზებს, მისი ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ ინფორმაციას (შესაბამისი დასაბუთებით), მათ შორის თევზსავალის ზედა და ქვედა ნიშნულებს, პარამეტრებს, ჰიდრავლიკური გაანგარიშების შედეგებს (იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს იქთიოფაუნაზე ზეგავლენის პროგნოზირება), აუზებს შორის სხვაობებს; თევზსავალ ნაგებობაში ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული გარემოს შექმნის შესახებ ინფორმაციას;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო-სადაწნეო სისტემის შესახებ;
- ინფორმაცია გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენისგან ჰიდროტექნიკური ნაგებობების დაცვის ღონისძიებებისა და შემოთავაზებული დამცავი ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია სადერივაციო-სადაწნეო მილსადენით მდინარის, შენაკადებისა და ხეობის გადაკვეთის შესახებ (არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ჰესის შენობის/ძალური კვანძის შესახებ, ძალური კვანძის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების დახასიათებით. მათ შორის: ჰიდროტურბინების დეტალური აღწერა, თითოეული ტურბინის სიმძლავრის მითითებით (ამასთან, ნამუშევარ წყალში ზეთების შერევის რისკების შესახებ ინფორმაცია), ასევე ჰესის შენობაში ავარიული ზეთშემკრები სისტემის მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ჰესის შენობიდან გამონამუშევარი წყლის მდინარეში ჩაშვების შესახებ, გამყვანი არხის პარამეტრების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ძალური კვანძის უბანზე წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას დამყარებული დონეებისა და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის, ასევე ტერიტორიის დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ;

- დეტალური ინფორმაცია ნაპირდამცავი ნაგებობის შესახებ - ნაგებობის ტიპის პარამეტრებისა და ეფექტურობის მითითებით. გზშ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იქნეს ნაპირდამცავი ნაგებობების ტიპი, ტექნიკური პარამეტრები და ადგილმდებარეობები (GPS კოორდინატები და shp ფაილები), ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობებიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაგებობის ტიპის, განთავსების ადგილის, პარამეტრებისა და გაწმენდის ეფექტურობის შესახებ, ასევე გამწმენდ ნაგებობებში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ. ასევე, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (მათ შორის ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთების, კერძო საკუთრებების შესახებ), ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ, ინფორმაცია

საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში). ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საჯარო განხილვებზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინების შესახებ.

4.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის და ვადების მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს, ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების მუდმივი/დროებითი ადგილების (სანაყაროები) შესახებ დეტალური ინფორმაცია (სანაყაროების ფართობისა და shp ფაილების მითითებით). დასაბუთებული უნდა იყოს სანაყაროების განთავსებისთვის შერჩეული ადგილ(ებ)ის გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური უპირატესობები;
- ინფორმაცია ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო და სარეაბილიტაციო გზების პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით (შესაბამისი სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით). ამასთან, მოცემული უნდა იყოს გზების მოწყობასთან/რეაბილიტაციასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების საკითხები და შესაბამისი პრევენციული, საკომპენსაციო/შემარბილებელი ღონისძიებები;

4.2 ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ის განთავსების შესახებ, მათ შორის:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სამშენებლო მოედნების შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს სამშენებლო ბანაკ(ებ)ის და მოედნების დაზუსტებული ლოკაციები (shp ფაილების და GPS კოორდინატების მითითებით) და შერჩეული ტერიტორიის აღწერა, ამასთან დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკ(ებ)ის და მოედნების განთავსებისთვის შერჩეული ლოკაციის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია ბანაკ(ებ)ის ფართობის, ასევე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ბანაკ(ებ)ის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ;

- ინფორმაცია მშენებლობის დროს სამშენებლო ბანაკების და მოედნების ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ბანაკებზე ელექტროენერგიის მიწოდებისთვის დაგეგმილია ეგხ-ის გაყვანა, წარმოდგენილი უნდა იქნეს ეგხ-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ტიპი, პარამეტრები, სქემატური ნახაზები, shp ფაილები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება და ა.შ.);

4.3. ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს:

- ინფორმაცია მდ. ყვირილას და მისი შენაკადების ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის: მდ. ყვირილასა და მისი შენაკადების საშუალო წლიური ხარჯების, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების შესახებ;
- ინფორმაცია მდ. ყვირილას აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური ხარჯების შესახებ;
- ინფორმაცია მდ. ყვირილას მაქსიმალურ ჩამონადენზე, მინიმალურ ჩამონადენზე, მყარ ნატანზე;
- ინფორმაცია მდინარის სიგრძისა და სიგანის (როგორც საერთო, ისე საპროექტო კვეთში არსებული მონაკვეთი) შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო არეალში, როგორც დამბის ზედა, ასევე მის ქვედა ბიეფში, მდ. ყვირილას შენაკადების შესახებ, მანძილებისა და აღნიშნული შენაკადების მიერ გატარებული ხარჯის მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის მიერ ასაღები წყლის რაოდენობებზე 10%, 50% და 90%-იანი უზრუნველყოფისთვის;
- ინფორმაცია წყალდიდობის რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია სათავე კვანძის ქვედა ბიეფში გასაშვები სავალდებულო ეკოლოგიური (სანიტარული) ხარჯის შესახებ (ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლისა და რაოდენობის მითითებით). ამასთან მოცემული უნდა იყოს ეკოლოგიური ხარჯის მნიშვნელობად მიღებული საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დასაბუთება/განმარტება (რამდენად უზრუნველყოფს განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯი მდინარის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებას, მათ შორის წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნებას) და საჭიროების შემთხვევაში ეკოლოგიური ხარჯის გაზრდის შესახებ ინფორმაცია (ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს “ზოსლევი 2” და “ზოსლევის 3” ჰესების კუმულაციური ზემოქმედება);
- გზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია - საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის ზედა და ქვედა ბიეფებში წყლის დონის მზომების დაყენების, წყლის ხარჯების დადგენილი სიხშირით გაზომვის, დონეებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების

მრუდების აგების, ამასთან ყოველდღიური დონეების და ხარჯების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენის შესაძლებლობის შესახებ;

- ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდინარის მონაკვეთზე წყალმოსარგებლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშებაში);
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მდ. ყვირილას დონეებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების მრუდები სათავე და ძალური კვანძის ნაგებობების განთავსების ადგილებში;

4.4. გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (მათ შორის მონაკვეთის პიკეტური აღწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ფუჭი ქანების განთავსების ადგილების (სანაყაროები) და სამშენებლო ბანაკის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების სივრცეში განვითარებულ სტიქიურ გეოლოგიურ პროცესებსა და იმ პრევენციულ ღონისძიებებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ჰესის საიმედო ექსპლუატაცია.

4.5. ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- წარმოდგენილი უნდა იქნას განახლებულ, სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ჰაბიტატებზე, ცხოველებზე, მათ შორის, იქთიოფაუნაზე, ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებასა და საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად.
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით: **„ფერდობებზე განვითარებულ მაღალი საკონსერვაციო ღირებულების წაზღვრულ ტყეებს შეტბორვის სახით პირდაპირი ზემოქმედება თითქმის არ ეხება“**. გზშ-ის ანგარიშში, ზემოაღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით, წარმოდგენილ იქნას დეტალური ინფორმაცია მცენარეების სახეობრივი შემადგენლობის, ასევე ცხოველთა ბუდეების, ბუნაგების, სოროების, სატოფე ადგილების, თუ სხვა საარსებოდ მნიშვნელოვანი ტერიტორიების არსებობის თაობაზე, რომლებიც ექცევა შეტბორვის ზონაში. მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, შემარბილებელ და საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ასევე, კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე, ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხები;
- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურისა და მისი მშენებლობისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით (ე.წ ტყეკაფის უწყისი).
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მისასვლელი გზების, სამშენებლო ბანაკის, ფუჭი ქანების სანაყაროების და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისას ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;
- სრულფასოვნად უნდა აისახოს კუმულაციური ზემოქმედების (მათ შორის, დაგეგმილ ელექტროგადამცემ ხაზებთან და ჰესებთან მიმართებით) და ამ ზემოქმედების პრევენციული ღონისძიებების (მათ შორის, საკომპენსაციო) საჭიროებასთან დაკავშირებული, მყარად დასაბუთებული ინფორმაცია.
- საპროექტო ინფრასტრუქტურის განთავსების ალტერნატივების განხილვა, სათანადო დასაბუთებით, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით.
- სეზონური იქთიოლოგიური კვლევის განხორციელება და შესაბამისი ანგარიში. კვლევებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იქთიოფაუნის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებას, რათა სრულყოფილად განისაზღვროს ჰესის ნეგატიური ზეგავლენის დონე;

- ექსპლუატაციის პროცესში პირველი 5 წლის განმავლობაში სეზონური იქთიოლოგიური კვლევის განხორციელება და შესაბამისი ანგარიშის წარდგენის (და არა წელიწადში ერთხელ, როგორც ანგარიშშია მითითებული) ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, ასევე მიეთითოს რომ კვლევებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება იქთიოფაუნის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებაზე, რათა სრულყოფილად განისაზღვროს ჰესის ნეგატიური ზეგავლენის დონე;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, 2024 წლის აპრილში საპროექტო არეალში ჩატარდა ბიოლოგიური კვლევები, რომლის შედეგად შესწავლილი იქნა იქთიოფაუნის საბინადრო ადგილები - ჰაბიტატები. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში შედარებითი ანალიზის მიზნით, იქთიოლოგიური მონიტორინგისათვის, უნდა განისაზღვროს ზემოქმედების არეალს მიღმა არსებული საკონტროლო უბნები;
- ვინაიდან მდ. ყვირილა შეიძლება ჩაითვალოს შავი ზღვის ორაგულის მდინარის ფორმის - კალმახის (*Salmo Labrax*) სამიგრაციო დერეფნად და საპროექტო ინფრასტრუქტურამ შესაძლოა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს აღნიშნული სახეობის გადაადგილებაზე, შესაბამისად პროექტის ფარგლებში გასატარებელ სხვა შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად, ერთ-ერთ ღონისძიებად განხილული უნდა იქნეს მდინარის დათევზიანება.

5. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტების (არსებობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა, განთავსების პირობებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ, (მდებარეობის მითითებით - GPS კოორდინატები, Shp ფაილები), „ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით;

- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების შეფასება. მდინარის კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირებითა და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ჰიდროლოგიურ, ჰიდრომორფოლოგიურ და კალაპოტურ პროცესებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაწყობი დამხმარე ინფრასტრუქტურის (მაგ: სამშენებლო ბანაკები და სხვ.), ასევე ქვესადგურის „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ნატანის მოძრაობაზე, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ინფორმაცია წყალსაცავის დალამვის პროგნოზისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება კლიმატზე, რეგიონში არსებული/საპროექტო ანალოგიური ტიპის ობიექტების გათვალისწინებით;
- დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული ჰესის შეგუბების კონტურის სიახლოვეს მდებარე ტერიტორიებზე, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე ზემოქმედება (განსაკუთრებით დაჭაობების რისკების გათვალისწინებით), ეფექტური საინჟინრო და შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით.
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (დასახლებულ პუნქტებში გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვა, ღამის საათებში დასახლებულ პუნქტებში გადაადგილების აკრძალვა, სენსიტიურ უბნებზე გზების მორწყვა და სხვ), ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. **ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში დაგეგმილი, მათ შორის ანალოგიური ობიექტები;**
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ასევე მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ ინფორმაცია;

- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- საპროექტო ობიექტის მშენებლობითა და ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ბიოლოგიურ და წყლის გარემოზე), არსებული ან/და საპროექტო (მათ შორის, დაგეგმილი “ბოსლევი 2” და “ბოსლევი 3”-ის) ჰიდროელექტროსადგურების გათვალისწინებით, შემარბილებელი და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის **შემუშავებული, შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.

6. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ეკოლოგიური ხარჯის პროცენტული მაჩვენებლები თვეების მიხედვით, ასევე თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95% უზრუნველყოფისათვის, შესაბამისი ცხრილების (1; 2) სახით:

ცხრილი 2. თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95%

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
საშ													
მაქს													
მინ													
10%													
50%													
75%													
95%													

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- წარმოდგენილი უნდა იყოს ღვარცოფული ხევის აღწერილობა და შესაბამისი გაანგარიშებები, რომელსაც კვეთს სადერივაციო სისტემა (გვ. 11);
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მორფოლოგიური პირობების მიხედვით გამოკვლეული მონაკვეთი რთული პირობებით (გეოდინამიკური პროცესები, ღვარცოფული ხეები აქტიური მეწყრული სხეულები, კლდეზვავური პროცესები და სხვ.) ხასიათდება, აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საყურადღებო მონაკვეთებზე გასატარებელი საინჟინრო ღონისძიებების შესახებ (შესაბამისი დასაბუთებით), ტექნიკური პარამეტრების მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სანაყაროებისთვის შერჩეულ ტერიტორიებზე მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის, თუმცა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების დროს აღნიშნულ ტერიტორიებზე დაფიქსირდა მცენარეული საფარი, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, საპროექტო ტერიტორიის დათვალიერებისას, მდინარის კალაპოტისა და მიმდებარე ტერიტორიების რელიეფის გათვალისწინებით, წყალსაცავის შეტბორვის კონტური საჭიროებს დაზუსტებას/დასაბუთებას;
- შეგუბების ფართობისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული და დასაბუთებული მიკროკლიმატზე ზემოქმედების საკითხები, განსაკუთრებით უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან მიმართებით;

- საპროექტო არეალი მდებარეობს შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მილსადენის და სს „საქართველოს რკინიგზის“ სარკინიგზო ხაზის მიმდებარედ, შესაბამისად გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს სს „საქართველოს რკინიგზასთან“ და შპს „სოკარ ჯორჯია გაზთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზმ-ის ანგარიშისა და თანდართული shp ფაილების მიხედვით, ჰესის შეტბორვის კონტურის სიახლოვეს ხვდება ადგილობრივი საავტომობილო გზა, რაზეც წყლის დონის აწევამ შესაძლოა მოახდინოს ზემოქმედება. აღნიშნული ზემოქმედება (შესაბამისი პრევენციული ან/და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით) შეფასებული უნდა იყოს გზმ-ის ანგარიშში;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია წყალსაცავის შეტბორვის კონტურის ფართობი და წყლის მოცულობა, თუმცა წარმოდგენილი არ არის კონკრეტულად რა მეთოდით/მოდელირებით მოხდა წყალსაცავის მოცულობის გაანგარიშება, რაც დაზუსტებული/დასაბუთებული უნდა იყოს გზმ-ის ანგარიშში. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ჰესის შეტბორვის შექმნის შედეგად შესაძლოა უშუალოდ შეტბორვის არეალში და წყალდაცვით ზოლში მოხვდეს საცხოვრებელი სახლები, ასევე კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი არ არის ფიზიკური და ეკონომიკური განსახლება, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაზუსტებული და სათანადოდ დასაბუთებული ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი ჰესის მთლიანი საპროექტო 141 698 კვ.მ. ფართობიდან (Shp ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 3 323 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან (შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გზმ-ის ანგარიშში). იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია ტყის სტატუსის შეწყვეტის უფლების მოპოვება, გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. ტყის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 დადგენილებით „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“;

- წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილბითან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული ეგზ-ის დამოუკიდებელი პროექტით გაყვანის გადაწყვეტილება ან წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: საერთო ქსელთან მიერთებისათვის განკუთვნილი საპროექტო ეგზ-ის ძირითადი პარამეტრების, ფიზიკური მახასიათებლების, ტექნიკური გადაწყვეტების (მაბვ, გაბარიტები, ეგზ-ის ტიპი, სიგრძე და სხვ), ასევე მისი გაყვანით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების საკითხების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მდ. ყვირილაზე 81 000 მ³ მოცულობის წყალსაცავის („ბოსლევნი 1 ჰესი“) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.